საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენებაზე უარის თქმის პრივილეგია და დუმილის უფლება

სასამართლომ დაადგინა, რომ საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენებაზე უარის თქმის პრივილეგია და დუმილის უფლება მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სამართალწარმოების ცნების ცენტრალური ელემენტია. ამ უფლებებს სასამართლო, როგორც წესი, 6.1 მუხლთან მიმართებით განიხილავს და არა 6.2 მუხლთან მიმართებით.[1] ეს პრინციპები გულისხმობს, რომ სახელმწიფო ორგანოები უნდა ეცადონ მათი პოზიციის დამტკიცებას იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობის გარეშე, რომლებიც მოპოვებულია ძალადობით ან ზეწოლით ეჭვმიტანილის ნების საწინააღმდეგოდ – რათა თავიდან იქნას აცილებული მართლმსაჯულების არასათანადოდ განხორციელება.[2] საქმეზე ალექსანდრ ზაიჩენკო რუსეთის წინააღმდეგ (Aleksandr Zaichenko v. Russia)[3] განმცხადებელი საკუთარი ავტომობილით მიდიოდა სახლში, როდესაც ის გააჩერეს პოლიციის ოფიცრებმა, რომლებიც იძიებდნენ მისი თანამშრომლის მიერ საწვავის ქურდობას. ოფიცრებმა ის გაფრთხილების გარეშე დაკითხეს და მან ხელი მოაწერა ინსპექტირების ოქმს, სადაც ადასტურებდა, რომ მან აიღო საწვავი მისი სამსახურებრივი მანქანიდან. შესაბამისად, განმცხადებელს მსჯავრი დაედო ქურდობაში. სასამართლომ 6.1 მუხლის დარღვევა დაადგინა, ვინაიდან საქმის განმხილველმა სასამართლომ დამნაშავედ ცნობა დააფუძნა განმცხადებლის მიერ პოლიციისთვის მიცემულ ჩვენებას, რომელიც მან მისცა წინასწარი ინფორმირების გარეშე იმის შესახებ, რომ მას ჰქონდა საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენებაზე უარის თქმის უფლება და ის ზეწოლა, რომელიც მან განიცადა წინასასამართლო წარმოებისას, არ აღმოიფხვრა საქმის არსებითი განხილვისას.

საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენებაზე უარის თქმის პრივილეგია შესაძლოა გამოყენებულ იქნას სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას კონკრეტული მტკიცებულების გამოყენების თავიდან ასაცილებლად, მიუხედავად იმისა, რომ ამან შესაძლოა სახელმწიფო ორგანოები არ შეაჩეროს ინფორმაციის მოპოვებისგან, როგორც ეს მოხდა საქმეზე საუნდერსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Saunders v. UK)[4]. აქ სისხლის სამართლის საქმის

---

[1] მაგრამ იხ., ჰინეი და მაკგინესი ირლანდიის წინააღმდეგ (Heaney and McGuinness v. Ireland), No. 34720/97, 21.12.00 და ქუინი ირლანდიის წინააღმდეგ (Quinn v. Ireland), No. 36887/97, 21.12.00 –6.1 და 6.2 მუხლების დარღვევა.

[2] იხილეთ, მაგალითად, ჯონ მიურეი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (John Murray v. UK), No. 18731/91, 8.2.96, 45-ე პარაგრაფი.

[3] No. 39660/02, 18.2.10.

[4] No. 19187/91, 17.12.96. იხილეთ, ასევე, IJL, GMR და AKP გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (IJL, GMR and AKP v. UK), Nos. 29522/95, 30056/96 და 30574/96, 19.9.00; კანსალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Kansal v. UK), No. 21413/02, 27.4.04 (გაკოტრების საქმისწარმოების ფარგლებში ოფიციალური მიმღების მიერ სავალდებულო უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული ჩვენებები). მაგრამ იხილეთ, კინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (King v. UK), No. 13881/02, გადაწყვეტილება 8.4.03 (გადასახადის გადამხდელთა ვალდებულება, მიაწოდონ ინფორმაცია მათი

განხილვისას ვაჭრობისა და ინდუსტრიის დეპარტამენტის ინსპექტორების მიერ იძულების კანონიერი უფლებამოსილების საფუძველზე აღებული ჩვენებების მტკიცებულებად დაშვება მიჩნეულ იქნა საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის პრივილეგიის დარღვევად. საქმეზე JB შვეიცარიის წინააღმდეგ (JB v. Switzerland)[5] განმცხადებელი რამდენიმეჯერ დაჯარიმდა დისციპლინური წესით (ადმინისტრაციული საგადასახადო წარმოების ფარგლებში) მისი შემოსავლის შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობისთვის და ამას შესაძლოა მოჰყოლოდა სისხლისსამართლებრივი ბრალდება გადასახადის დაფარვისთვის. შესაბამისად, დაირღვა 6.1 მუხლი. საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენებაზე უარის თქმის უფლება მაშინაც იმოქმედებს, თუ სავარაუდოდ იძულებით მიღებული ბრალდების მტკიცებულება რეალურად არ იქნება გამოყენებული სისხლის სამართალწარმოებისას.[6] თუმცა, საქმეზე შანონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Shannon v. UK)[7] ის ფაქტი, რომ განმცხადებელს მოსთხოვეს ფინანსურ გამომძიებლებთან გასაუბრებაზე დასწრება და იძულებული იყო ეპასუხა კითხვებზე იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რაზეც მას ბრალი უკვე წარდგენილი ჰქონდა, მიჩნეულ იქნა საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლების დარღვევად, მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართალწარმოება არ გაგრძელდა და ამ გზით მოპოვებული მტკიცებულება არ გამოუყენებიათ. საქმეზე ოალორანი და ფრანცისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (O'Halloran and Francis v. UK)[8] დიდმა პალატამ დაადგინა, რომ განმცხადებლების, როგორც თავიანთი ავტომობილის მესაკუთრეების ვალდებულება, მიეწოდებინათ ინფორმაცია მძღოლის შესახებ, ავტოსაგზაო შემთხვევის ეჭვის არსებობისას, არ არღვევდა მათი დუმილის უფლების არსს ან საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებას. ის მივიდა ამ დასკვნამდე მტკიცებულების მიღებისას გამოყენებული ვალდებულების ხასიათისა და ხარისხის, საქმისწარმოებისას გარანტიების არსებობისა და მიღებული მასალების შემდგომი გამოყენების შეფასების შედეგად.

საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის პრივილეგია, პირველ ყოვლისა, უკავშირდება ბრალდებულის დუმილის უფლებას. ეს არ გამორიცხავს მტკიცებულებად იმ მასალის დაშვებას, რომელიც არსებობს ეჭვმიტანილის ნებისგან დამოუკიდებლად, როგორიცაა სუნთქვის, სისხლის ან შარდის ნიმუშები, სხეულის ქსოვილი დნმ-ის ანალიზისთვის, ან დაყადაღებული დოკუმენტები.[9] თუმცა საქმე იალოჰი გერმანიის წინააღდეგ (Jalloh v. Germany) საგამონაკლისო იყო. ამ საქმეზე დიდი პალატის უმრავლესობამ

ფინანსური მდგომარეობის შესახებ – დაუშვებლად იქნა ცნობილი); სტეინესი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Staines v. UK), No. 41552/98, გადაწყვეტილება 16.5.00.

[5] No. 31827/96, 3.5.01.

[6] იხილეთ, მაგალითად, ჰეინი და მაკგინესი ირლანდიის წინააღმდეგ (Heaney and McGuinness v. Ireland), No. 34720/97, 21.12.00.

[7] No. 6563/03, 4.10.05.

[8] Nos. 15809/02 და 25624/02, 29.6.07.

[9] საუნდერსი გაერთანებული სამეფოს წინააღმდეგ (Saunders v. UK), No. 19187/91, 17.12.96, 69-ე პარაგრაფი.

დაადგინა, რომ განმცხადებლის იძულება მიეღო გულის არევის საშუალებები მის მიერ გადაყლაპული ნარკოტიკული საშუალების ამოსაღებად, უტოლდებოდა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას მე-3 მუხლის დარღვევით.[10] ეს მტკიცებულება შემდეგ მის წინააღმდეგ იქნა გამოყენებული. ამგვარ გარემოებებში 11-მა 6-ის წინააღმდეგ დაადგინა, რომ საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის პრივილეგია მოქმედებდა და დაირღვა, რადგანაც რეალური მტკიცებულების მისაღებად ღონისძიებები გატარდა განმცხადებლის ნების საწინააღმდეგოდ და მიმდინარე სამართალწარმოებაში გამოყენებული ძალის ფარგლების გათვალისწინებით მე-3 მუხლი დაირღვა. უფრო მეტიც, ბრალის დამტკიცების საზოგადოებრივი ინტერესი ვერ ამართლებდა განმცხადებლის ფიზიკურ და ფსიქიკურ ხელშეუხებლობაში ამგვარ მძიმე ჩარევას.

სახელმწიფოს მიერ ინფორმატორების გამოყენებით შესაძლოა დაირღვეს დუმილის უფლება იმ საფუძვლით, რომ ის: ქმედითად შეილახა საქმეზე, სადაც ეჭვმიტანილმა არჩია დუმილის უფლება დაკითხვისას, ხოლოს სახელმწიფო ორგანოებმა მიმართეს ხრიკებს ეჭვმიტანილისგან აღიარების ან ბრალზე მიმანიშნებელი განცხადებების მისაღებად, რაც მათ დაკითხვისას ვერ მოიპოვეს და სადაც ამ გზით მოპოვებული აღიარება ან განცხადებები საქმის მასალებს დაერთო სასამართლო განხილვისას[11].

ეს პრინციპი დაირღვა საქმეზე ალანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Allan v. UK)[12], სადაც პოლიციის გამოცდილი ინფორმატორი მოათავსეს პოლიციის იზოლატორში განმცხადებლის საკანში და მოგვიანებით მის საკანში ციხეში, მის წინააღმდეგ მტკიცებულების მოპოვების მიზნით. შესაბამისად, განმცხადებლის ნებაყოფლობითი აღიარებები არ იყო „სპონტანური და უცაბედი“, არამედ „თავს მოხვეული ინფორმატორის დაჟინებული კითხვებით“. მიუხედავად იმისა, რომ სახეზე არ იყო პირდაპირი იძულება, სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელი დაექვემდებარა ფსიქოლოგიურ ზეწოლას, რამაც უბიძგა „ნებაყოფლობითი“ გამხელისკენ. საქმე ბიკოვი რუსეთის წინააღმდეგ (Bykov v. Russia)[13] ეხებოდა სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოძიების პროცესში ფარულ ოპერაციას – განმცხადებლის მიერ მკვლელობის ჩადენის პროვოცირებას, რაც ითვალისწინებდა პოლიციის მიერ ორი მკვლელობის ინსცენირებას, რაც ფართოდ გახმაურდა. განმცხადებელმა საქმის სასამართლო განხილვისას პროტესტი განაცხადა პოლიციის ინფორმატორის რადიოჩამწერი მოწყობილობით მოპოვებული ჩანაწერის გამოყენებასთან დაკავშირებით. ამ მოწყობილობის გამოყენების სამართლებრივი რეგულირების არარსებობის გამო დადგინდა მე-8 მუხლის დარღვევა. რაც შეეხება მე-6 მუხლს, სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელს ჰქონდა შესაძლებლობა გაესაჩივრებინა მტკიცებულების დასაშვებობა პირველ და სააპელაციო ინსტანციებში. ჩანაწერი არ იყო ეროვნული სასამართლოების მიერ მის

[10] No. 54810/00, 11.7.06 (მე-3 მუხლის დარღვევა, ათი ხმა შვიდის წინააღმდეგ).

[11] ალანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Allan v. UK), No. 48539/99, 5.11.02, 50-ე პარაგრაფი.

[12] No. 48539/99, 5.11.02.

[13] No. 4378/02, 10.3.09. იხილეთ, ასევე, ჰეგლასი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ (Heglas v. Czech Republic), No. 5935/02, 1.3.07.

წინააღმდეგ გამოყენებული ერთადერთი მტკიცებულება, ის გამყარებული იყო სხვა დამადასტურებელი მტკიცებულებით. განმცხადებელი ასევე ამტკიცებდა, რომ მისი ბრალდების საფუძველი იყო ხრიკი და პროვოცირება და რომ პოლიციამ გადააბიჯა მოქმედების დასაშვებ ფარგლებს მათი ინსტრუქციით მოქმედ ინფორმატორთან მისი საუბრის ფარული ჩაწერით. თუმცა დიდმა პალატამ ეს საქმე გამიჯნა საქმისგან ალანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Allan v. UK), აღნიშნა რა, რომ განმცხადებელი არ იყო წინასწარ პატიმრობაში, არამედ თავისუფალი იყო და არ იმყოფებოდა პოლიციის ინფორმატორის მიღების და მასთან საუბრის წნეხის ქვეშ. ის თავისუფალი იყო, ასე მოქცეულიყო. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ მტკიცებულების მოპოვება არ „შეიცავდა იძულების ან ზეწოლის ელემენტს“, რაც ალანის საქმეზე განმცხადებლის დუმილის უფლების დარღვევის დადგენის საფუძვლად იქნა მიჩნეული. შესაბამისად, ადგილი არ ჰქონდა მე-6 მუხლის დარღვევას.[14]

დუმილის უფლება არ არის აბსოლუტური უფლება, მაგრამ დუმილის საპირისპირო ჩარევამ შესაძლოა გამოიწვიოს მე-6 მუხლის დარღვევა, საქმის ყველა გარემოებიდან გამომდინარე, მათ შორის იმ შემთხვევების გათვალისწინებით, როდესაც არსებობს ვარაუდები, რა დატვირთვას მიანიჭებს ამას ეროვნული სასამართლო მტკიცებულებათა შეფასებისას და ჩარევის იძულების ხარისხი. დუმილის უფლებასთან შეუსაბამო იქნება ბრალის დადგენა მხოლოდ ან ძირითადად ეჭვმიტანილის დუმილის, ან კითხვებზე პასუხის ან მტკიცებულებათა გაცემაზე უარის საფუძვლით. თუმცა, ეჭვმიტანილის დუმილი შესაძლოა გათვალისწინებული იყო ისეთ ვითარებაში, როდესაც ეს აშკარად მოითხოვს ახსნას.[15]

საქმეზე კონდრონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Condron v. UK)[16] პოლიციაში დაკითხვისას განმცხადებლები ადვოკატის რჩევით დუმილს ინარჩუნებდნენ, რადგანაც ნარკოტიკული საშუალებების მოქმედების გამო მათ არ შეეძლოთ კითხვებზე პასუხის გაცემა. სასამართლომ დაადგინა, რომ მე-6 მუხლი დაირღვა ნაფიცი მსაჯულებისთვის არასაკმარისი ინსტრუქციის გამო: სამართლიანობისთვის ნაფიც მსაჯულებს უნდა განმარტებოდათ, რომ თუკი დარწმუნდებოდნენ, რომ განმცხადებლების დუმილი პოლიციაში დაკითხვისას არ შეიძლებოდა გაიგივებულიყო იმასთან, რომ მათ არ ჰქონდათ პასუხი ან რომ არ დაექვემდებარებოდნენ ჯვარედინ დაკითხვას, ამას არ უნდა ჰქონოდა საუარესო გავლენა.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმის გათვალისწინებით, რომ შეუძლებელი იყო იმის დადგენა, როგორ შეაფასეს ნაფიცმა მსაჯულებმა განმცხადებლების დუმილი. ევროპულმა

---

[14] თუმცა ასევე გაითვალისწინეთ მე-6 მუხლთან მიმართებით მოსამართლე სპილმანის და მასთან ერთად მოსამართლეების როზაკისის, ტულკენსის, კასადევალისა და მიიოვიჩის ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრებები.

[15] ჯონ მიურეი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (John Murray v. UK), No. 18731/91, 8.2.96, 44-7 პარაგრაფები.

[16] No. 35718/97, 2.5.00. იხილეთ ასევე: ბეკლესი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Beckles v. UK), No. 44652/98, 8.10.02.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს არ ჰქონდა ამ შეფასების გაკეთების არანაირი საშუალება და ყურადღება გადაიტანა ბრალდების „უსაფრთხოებაზე“ და არა იმაზე, იყო თუ არა საქმის სამართლიანი განხილვა.